“ენძელას” თასზე

გუშინ გაიმართა ბოლო ტურის მატჩები `ენძელას” თასზე ფეხბურთში. დიდ წარმატებას მიაღწიეს ქუთაისის ტორპედოელებმა, რომლებიც ლესელიძეში შეხვდნენ მინსკის “დინამოს”. ტორპედოელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს ტაიმი, რომელიც მოიგეს ანგარიშით 1:0 (ბურთი გაიტანა ხუციშვილმა).

მეორე ტაიმის დასაწყისში მინსკელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მუნტიანმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ ქუთაისელები განაგრძობდნენ ძლიერ იერიშებს და 65-ე წუთზე ერქომაიშვილმა ზუსტად შესრულებული პენალტით ისევ წინ გაიყვანა თავისი გუნდი - 2:1. 10 წუთის შემდეგ ხაჟალიამ მესამე ბურთი გაიტანა და ტორპედოელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი. გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ჩხაიძე, ებრალიძე, ამყოლაძე, წვერავა, ერქომაიშვილი, ხუციშვილი, ხაჟალია, ხერხაძე.

საყოველთაო ინტერესს იწვევდა მატჩი სოჭის ახალ სტადიონზე, რომლის გახსნა მოხდა გუშინ. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი - კიევის “დინამო” და შარშანდელი გათამაშების ბრინჯაოს პრიზიორი - თბილისის “დინამო”.

დაძაბული ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ - 0:0. თბილისელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: კოტრიკაძე, ცხოვრებოვი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ძოძუაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მეტრეველი, გავაშელი, ქიქავა (ილიადი), მესხი.

“ლელო”, 16 მარტი, 1968 წ.